საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 172
1877

ივერია

№ 172
1903

გვისტოს 13, ოთხშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

აგვისტოს 13, ოთხშაბათი 1903 წ

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, პირველ აგვისტოდგან „ივერია" აღარ ეგზავნება.

პირველ აგვისტოდგან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია"

ჯლირს 5 მან. 50 კაპ.

გაზეთის „ივერიის" ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით 6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „წერა-კ. გამავრცელებელ საზოგადოების" მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

წიგნის ისტორია

შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ
14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.

2,

დანიელ დეფოს

რობინზონ კრუზე

მეორე გამოცემა მრავალის სურათით.
162 გვ. ფასი 30 კ.

წიგნების დაბარება შეიძლება ფას-დადებითაც: Тифлисъ, Общество грамотности.

ახალი ენშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან.

თანხმად 1895 წელს 25-ს მაისს უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო რჩევის დადგენილებისა შესახებ იმისა, რომ ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელთ დაუბრუნდეს ის ფული, რომელიც მათ ბანკის დასაარსებლად შეუტანიათ, და აგრედვე 1900 წლის 8 მაისს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ წესების მე-7ე მუხლის ძალით,—ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ამით აცხადებს, რომ ვისაც აქვს თავადის იოსებ ზაქარიას ძის ანდრონიკაშვილის მიერ გადაცემული კვიტანცია შესაბამის წარწერით ოთხას ოთხმოც და ხუთის მანათისა (485 მან.), ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად შეტანილისა, ალდებულია, ეს კვიტანცია წარმოუდგინოს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ექვსის თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვის დღიდგან; წინააღმდეგს შემთხვევაში იგი სამუდამოდ დაჰკარგავს ფულის მიღების უფლებას ამ კვიტანციით და გადასაცემ წარწერით და ეს ფული ზემოდ დასახელებულ თავად ანდრონიკაშვილის საკუთრებად ჩაეთვლება.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 11—1 ს.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთანდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძ
სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირ დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—ქანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი ა. ი. შჩერბინინა. 7—7 საათ ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

ტფილისი

კარგა ხანია, ქართველი მწიგნობრები ჰფიქრობდნენ ცალკე წიგნად გამოეცათ თ-დ ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილები, რომელიც „ივერია"-ში იბეჭდებოდა რადგან სხვასა ჰქონდა აღებული ნება-რთვა, სახელდობრ "წიგნების გამომცემელ ამხანაგობას" დაარსების დღიდგან (1877 წ.). აქამომდე ეს შრომა ვერავინ ითავა ეხლა, როგორც, ნამდვილად შევიტყეთ, ამ ამხანაგობას" გამოსცეს ხსენებული წერილები და მათ შეგროვებას კიდეც შესდგომია.

გუშინ, დილის 6 საათზედ, ტფილისიდგან ბაქოსაკენ საგანგებო მატარებელი წავიდა, რომელიც „უაღრეს საჭიროებათათვის" არის დანიშნული და შესდგება 11 ვაგონისაგან, მხოლოდ პირველისა და მეორე კლასისა. ამ მატარებლეს ორი საუკეთესო ორთქლ-მავალი ამოძრავებს. ერთს ორთქლ-მავალზე მემანქანეს გარდა გაჰყვა თანაშემწე „მოძრაობის" უფროსისა და მეორეზე—სხვა უფროსი მოხელე. ამ მოხელეებმა უნდა ბეჯითი ყურადღება იქონიონ და დაწვრილებით გამოიკვლიონ, შესაძლებელია თუ არა მატარებელი სწორედ დანიშნულ დროს მიდიოდეს ყველა სადგურთან და წესი მატარებელთა სიარულისა ხომ არ შეაფერხებს ამ საგანგებო მატარებელს. ბაქოში მატარებელი ღამის 11 საათზე მივა და მხოლოდ ორ საათს გაჩერდება. შემდეგ უკან წამოვა და ბათომ-ფოთს წავა, იქიდგან ბორჯომისკენ შეუხვევს და ისევ ტფილისს ჩამოვა.

გაგრის სამცენარეულო გამოფენის კომიტეტის თავმჯდომარე გვთხოვს შევატყობინოთ ჩვენს მკითხველებს, რომ ვინც გამოსაფენად გზავნის რასმე ნოვოროსიისკზე, უნდა მიჰმართოს კავკავის გზის საკომერციო აგენტს ნოვოროსიისკში.

იგივე თავმჯდომარე გვატყობინებს რომ 1 აგვისტოდგან სამცენარეულო გამოფენის საგანგებო ბიურო დაარსდა, რომელიც გაგრის კლიმატიურ სადგურის სასტუმროში. ვისაც რა ცნობა დასჭირდეს გამოფენის შესახებ ეხლა ანუ გამოფენის დროს, ამ ბიუროს უნდა მიჰმართოს.

კავკავის რკინის გზის საზოგადოების ანგარიშით შავის ზღვის სანაპირო რკინის გზას, რომელიც კავკავის გზიდგან ახალ-სენაკამდე უნდოდათ გამოეყვანათ, 128—140 მილიონი მანათი დასჭირდება. ინჟინერი ვურცელი-კი ამტკიცებს, რომ ამ გზას 50—55 მილიონზე მეტი არ მოუნდებაო. ესეთი დიდი უთანხმოება იმითი აიხსნება თურმე, რომ კავკავის გზის საზოგადოებას, სხვა-და-სხვა მოსაზრებით, არ უნდა კავკავ-სენაკის გზის გაყვანა. ხოლო ეს კომპანია თავის სურვილს ვერ მიაღწევსო, ამბობს „Нов. время", რადგან შეუძლებელია კომპანიის ჯიბის ასავსებად ხაზინამ ტუაპსე დაღუპოს, რომლის მოსაწყობად ხაზინამ მილიონ ნახევარი მანათი უკვე გადასდოვო. კავკავის გზის კომპანიას 1905 წელს უთავდება ვადა და მერე გზა ხაზინას უნდა გადაეცეს. ეს არაფრად ეპაშნიკება ამ კომპანიას, რომელსაც კავკავის გზისაგან დიდი ხეირი აქვს. კომპანიას რომ იმედი ჰქონდეს კვალად თვითონ შეირჩინოს ეს გზა ახალის ვადით, მაშინ უეჭველად დადანხმდება ახალი გზა გაიყვანოს შავის ზღვის ნაპირსაო.

ჩვენ კვალად შემოგვჩივიან, რომ გერმანელთა სასაფლაო ტფილისში უადგილო ადგილას არის. წარსულ კვირას აქ ერთი სამხედრო კაცის გვამი დაუსაფლავებიათ და, სამხედრო წესისამებრ, თოფ-ზარბაზანი დაუცლიათ. ამ სროლამ იქვე სასაფლაოს გარშემო მცხოვრებნი მეტად დააფთხო, ბავშვებსა და ქალებს გულები დაუხეთქათ, ხალხი გარედ გამოცვივდა, უბედურება რამ ხომ არ დატრიალდაო. დროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს და გერმანელთა სასაფლაო დაუყოვნებლივ სხვაგან გადიტანონ. სად ნახულა და გაგონილა ამისთანა შემაწუხებელი ამბავი.

ვინც არა მგონია, ყველა მამიდაობასა თუ დედინაცვლობას უწევს ქართველ ხალხს, ყველაფერს ხელს ატანენ, ყველაფერსა რყვნიან და ამახინჯებენ, ხალხის ენასა, ჭკუასა და ზნეობასაც-კი არა სტოვებენ შეუბღალველად. გაჩნდა მრავალი უგვანო და უმეცარი მოლექსე, პუბლიცისტი, ისტორიკოსი და გამომცემელი. აღარ გავიხსენებთ ბ-ნ უახბარათოვსა, ანუ ბ-ნ კორხანიდს, რომელსაც მოუწადინია თავის უცნაურ სახელმძღვანელოთი ქართველი ერი გაანათლოს და ქართულის ენის უცოდინელმა რუსულ ქართული წერა-კითხვა და ენა შეასწავლოს ქართველ ბავშვებს. ბ-ნ კორხანიდს ბევრი მოცილე ჰყავს და ეხლა კიდევ გამოსჩენია ვიღაც არნაუტოვი, არ მცოდნე არც რუსულისა და არც ქართულის ენებისა. ამ ვაჟბატონს შეუდგენია „რუსულ-ქართული სახელმძღვანელო„ და კორხანიდისეულ მეთოდით ქართველ ბავშვს სამშობლო ენასაც დაავიწყებს და რუსულს ხომ ვერას გზით ვერ შეასწავლის. ეს ახალი „სახელმძღვანელო" ამ ჟამად ბ-ნ ქუთათელაძის სტამბაში იბეჭდება. სამწუხარო ის არის, რომ ამისთანა არა-მკითხე „პედაგოგები" მოხერხებულად ავრცელებენ თავიანთ გამოცემას დაბალ ხალხში და ისეთს წიგნებს, რომლებიც ცოდნითა და მოფიქრებით არის შედგენილი, გზას ულობავენ. როგორ უნდა მოეღოს ბოლო ამ ვერაგობასა და მატყუარობას.

ალექსანდრეს ბაღთან ტფილისში, ბაზრის პირს, ამ ჟამად ხუთი წიგნის მაღაზია არის, რომელთაგან სამი ქართველებს ეკუთვნის.

ტფილისის საბალოსნო სკოლის გამგე ბ-ნი ივანოვი მასწავლებლად გამწესდა ტფილისისავე რეალურს სასწავლებელში. სკოლის გამგებლობა ბ-ნმა ჯაფარიძემ ჩაიბარა, რომელიც, კარგა ხანია აქ მასწავლებლად არის.

ამ ორის წლის წინად ჩვენს ბანკს დარჩა ბრეთის მამული, რომელიც ფაფიუსს ჰქონდა ნაყიდი და რომელიც სულ პირველად თ. ივ. ავალიშვილისა იყო. ეს მამული ერთს მის წინანდელ მფლობელს ბ-ნს გ. ქანანოვს, რომელიც ტფილისის თვით-მმართველობაში მსახურობს იურის I კონსულტის თანაშემწეთ, რაღაც მანქანებით ხელში ჩაუგდია და ბანკს აღარავითარს სარგებლობას არ აძლევდა. ბანკმა ჩივილი დაიწყო. მოუგო საქმე ქანანოვს, რომელსაც უკვე ცოლისთვის მიეყიდნა მამული, აიღო აღმასრულებითი ფურცელი და დღეს ქანანოვს ვადა აქვს მიცემული, რომ დასტოვოს მამული. თუ არ დასტოვა, ბანკი ძალით გამოაძევებს ამ მამულიდგან და ჩააბარებს იმას, ვინც იგი შეიძინა ამ სამის წლის წინად ბანკთან კერძო მორიგებით.

ამას წინად გერმანიაში მკურნალ წავიდა ლეიდენთან გორის მაზრის ცნობილი მებაღე ბ-ნი ისაია ფურცელაძე, როგორც შევიტყეთ, სრულიად კარგად თურმე და მალე დაბრუნდება სამშობლოში. ისაია ფურძელაძეს ოპერაცია თურმე გაუკეთეს ბერლინში, ამოუღეს ერთი დაშავებული თირკმელი და მით თითქმის სრულიად გაასაღეს.

სოფელ ურიათუბანში (თელავის მაზრა), როგორც მოხსენებული გვქონდა, 5 აგვისტოს ავაზაკებმა მოჰკლეს იქაური მღვდელი იროდიონ ჩეკურიშვილი. ეს მომხდარა საღამოს ცხრა საათზედ, როდესაც ხალხი ჯერ ისევ ზეზე იყო ერთი ავაზაკთაგანი უკვე შეიპყრეს. სული კი რვანი ყოფილან. განსვენებული შეძლებული კაცი იყო და, როგორც ამბობენ, გლეხ-კაცობაში ბევრი უკმაყოფილო ჰყოლია.

ჩვენებური ამბები

ბორჯომი. მოაგარაკეთა სიცოტავე.—ამისი მიზეზი.—სადილი პროფესორ ხახანაშვილის პატივსაცემლად.—კაცმოყვარე პროფესორი—ექიმი.

წელს ბორჯომს ბევრად ნაკლები მოაგარაკე ეწვია, ვიდრე წინად ვწვეოდა ხოლმე. ამ მხრივ ბორჯომი საზოგადოდ უკან-უკან მიდის. ამ ათიოდე წლის წინად აქ ტევა არ იყო ხალხისა და ისიც როგორისა? მსუქან-მსუქან მდიდრებისა და ბრწყინვალე არისტოკრატებისა. ახლა-კი ეს კურორტი მომცდარ ყანას მოაგონებს. ხალხი არა მარტო ცოტაა, არამედ ჩიხა-მახა, ხურდა-მურდა. აქაურს პარკში ვერც ერთს მილიონერს ვერ ნახავ, ვერც ერთს გაუხუნებელს არისტოკრატს ვერ შეხვდები. მეტადრე ცოტაა ქართველობა და რუსობა. უფრო სჭარბობენ ურიები და სომხები, და ისიც ჯიბე-თხელები. რას უნდა დავაბრალოთ ასეთი დაქვეითება ოდესმე დიდებულის ბორჯომისა? უმთავრესად აქაურს ჰავასა. ბორჯომი მეტად ნესტიანი ადგილია და ქარით შეპყრობილთ უძლიერებს ავადმყოფობას, ხოლო სალს უჩენს ქარებსა, მეტადრე თუ ქვემო ნაწილში დგანან მოსულნი. ეს სინესტე იმისაგან წარმოსდგება, რომ ბორჯომი ჰგავს დიდს ორმოსა, რომელიც გარშემო შეზღუდულია მაღალი მთებით და ზედ მიდის სამი მდინარე: მტკვარი, ბორჯომის წყალი და შავი წყალი. ამასთან სიმდიდრე და სიძლიერე მცენარეობისა საკვირველია. ამისთანა ადგილი არ შეიძლება არ იყოს ნესტიანი, და მეტ-ნაკლებობით ციებიანი და ასეც არის.

მაგრამ თუ ნერვებ-აშლილი ადამიანი აქაურის საყდრის ზემოდ მთაზე დაიჭერს სადგურსა, და ხშირი სტუმარი იქნება აქაურის მძლავრის ტყეებისა, დიდს სარგებლობას ნახავო. არა ერთის ნევრასტენიკისაგან გაიგონებთ: აბასთუმანში ძილი არა მქონდა, ჩამოვედი ბორჯომში და ტკბილი ძილს ვღირსეო. ნერვებზე კარგად ჰმოქმედობს არა მარტო სიმდიდრე და მრავალ-ფეროვნება აქაურის ბუნებისა, არამედ ზომიერი სიმაღლე მაშინ, როდესაც აბასთუმანი ზღვის დონეზე დაშორებული 4200 ფუტით, ბორჯომის სიმაღლე უდრის მხოლოდ 2700 ფუტსა, და ამისთანა შუათანა სიმაღლე კარგად მოქმედებს როგორც გულის ნორმალურს ძგერაზე, ისე ნერვებზე.

ამ ერთის კვირის წინად ჩვენმა სიმპატიურმა და მოუღალავმა მამულიშვილმა პროფესორმა ხახანაშვილმა სვანეთიდგან მომავალმა შემოუხვია ჩვენკენ ერთი-ორი დღითა; მაგრამ რადგან აქაურმა ქართველობამ გულმოდგინეთ სთხოვა მეტი დრო დარჩენილიყო და დაესვენა, ამიტომ დღესაც აქ არის, და ასიამოვნებს აქაურს ქართველობას. ამ რამდენისამე დღის წინად საპატიო სადილიც გაუმართეს ვორონცოვის პარკში, რომელსაც დაესწრო თითქმის მთელი აქაური ქართველობა. ბევრი საგულისხმიერო აზრი წარმოითქვა ამ სადილზე. სხვათა შორის ნათქვამი იყო, რომ პროფესორს ხახანაშვილს ჩვენს ქართველ პროფესორთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი არ ჰკმაყოფილდება კაბინეთურ მოღვაწეობით, არამედ დაიარება თითქმის მუდამ ზაფხულს საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში და ცოცხალის სიტყვით ასიამოვნებს ასზოგადოებასაო. იგი გულმოდგინეთ იკვლევს ჩვენს წარსულსა; მაგრამ ამავე დროს ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ ცოცხალნი ძალნი ერისანი აწმდგომში განაძლიერონ და უკეთესი მომავალი მოუმზადონ. ნათქვამი იყო ისიცა, რომ თუ ახლა რუსეთისა და ევროპის საზოგადოება ცოტათი მაინც იცნობს ქართულს ლიტერატურას და აფასებს, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენის ალექსანდრე სოლომონის ძის წყალობითაო. დასასრულ სადილზე დამსწრეთ იკისრეს თავის ნაცნობთა შორის შეაგროვონ საკმარისი ფული ფრანგულს ენაზე გადასათარგმნელად და დასაბეჭდათ მის თხზულებისა: **История Грузинской литературы**". ფრანგულათ გადათარგენა ოთხივე ტომისა იკისრეს

ექიმმა ვახტანგ დავითის ძემ ღამბაშიძემ და მისმა მეუღლემ, უსასყიდლოდ, რასაკვირველია. მათვე ეკუთვნით ეს ჩინებული აზრი შესახებ გადათარგმნისა ფრანგულს ენაზე ჩვენიმ მამულიშვილის მთავარი ნაწარმოებისა.

ერთ პროფესორზედ ლაპარაკის შემდეგ მეორეზედ ლაპარაკის ჩამოგდება ადვილია და ჩვენც ასე მოვიქცევით.

ერთს ქართველს პედაგოგს და თანამშრომელს „ივერიისას“ ხიფათი შეემთხვა. ტყეში სიარულის დროს ორ-კაპი ხმელი ტოტი თხილისა დაეტაკა ღია თვალში და ერთმა კაპმა დაუზიანა ქვემო ნაწილი თვალის კაკლისა, ხოლო მეორემ გაუკაწრა თვალის გუგის ზემო ნაწილი. ბედად ამ დროს აქ იმყოფებოდა დროებით პეტერბურგის პროფესორი და თვალის ექიმი ბ-ნი კოსტენიჩი. ავადმყოფს ექიმმა ღამბაშიძემ მიუწერა წერილი კოსტენიჩთან კოსტენიჩი თურმე მეორე დღეს აპირებდა წასვლას ყირიმში, თავის ნაცნობებს უკვე გამოსთხოვებოდა; მაგრამ რაკი ნახა საშიში მდგომარეობა თვალისა, კიდევ დარჩა სამიოდე დღე და იმდენი თავაზიანობა იხმარა, რომ რაღაც სხვა მიზეზი მოიგონა დასარჩენად. სამს დღეში თვალი გამოიყვანა საშიშ მდგომარეობიდგანა და შემდეგ გაემგზავრა ყირიმში. ავადმყოფმა ხუთ-ხუთი მანეთი შეაძლია თითო ნახვაში; მაგრამ სამის მინეთის მეტი არ მიიღო.

რა კარგი იქმნებოდა, რომ ბლომად იყვნენ ასეთი კაცთმოყვარე ექიმები...

ავადმყოფს ახლა სრულიად მოურჩა თვალი, იოტის ოდენა ზადიც-კი არ დარჩენია; მაგრამ ერთს კი სწუხს: თვალის ტკივილმა დაავიწყა ელიაობა და მან ჩვეულებრივად ვერ გაუგზავნა მისალოცი დეპეშა დიდს ილიას (პატარა და პაწაწკინტელა ილია ხომ ბევრია ჩვენში).

ვარ—ნელი.

სოფ. ურიათუბანი (სიღნაღის მაზრა). ექვს ამ თვეს აქ მოხდა საშინელი მკვლელობა. საღამოს 8 საათზე ფერიცვალების დღეს მოჰკლეს აქაური მღვდელი. იროდიონ ჩეკუროვი. დიდი ხანია ურიათუბნელები ემუქრებოდნენ მოკვლას და აგერ ეხლა შეუსრულეს. ფერიცვალებას მწირველი მღვდელი საღამოთი მოინდომებს გარეთ საჩეხში ოთახის წინ წამოწოლას. მღვდლის სახლობა-კი ოთახში ყოფილა. სამზარეულოს კარებიდან ოთახში უცებ ვიღაცა შევა, წააქცევს მღვდლის ცოლს და რევოლვერით დაადგება: „ხმა არ ამოიღო გაჩუმდიო“. მღვდლის ცოლი დაიწყებს წივილ კივილს. რამდენისამე წამის შემდეგ ავაზაკი გაუშვებს. ამ დროს გარეთ მღვდელს, გარეთ მწოლიარეს დაადგებიან, თვალებზედ და პირზედ ხელს დააფარებენ და რევოლვერს დასცემენ. სახლიდან გამოვა მღვდლის ცოლი და ჰხედავს მღვდელს სისხლში მოსვრილს. ამ დროს ავაზაკები თოფებს ისვრიან, რომ მეზობლობა არ მივიდეს. მღვდლის ცოლის წივილ-კივილზედ შეგროვდება ხალხი. სასიკვდილოდ დაჭრილ მღვდელს შაიყვანენ სახლში და ორის საათის შემდეგ განუტევებს სულს.

ასე მოჰკლეს ურიათუბნელებმა მ. იროდიონი, რომელიც იმათ სიკეთის მეტს მეტს არას აკეთებდა. ორი სკოლა გაუმართა სოფელს, სამინისტრო და სამრევლო, რომელსაც თავის ხარჯით ინახავდა. აგრეთვე ბევრ სოფლის სამრევლო სკოლებს ჰშველოდა საკლასო ოდაფების და ყმაწვილების სასხდომ სკამების შეწირვითა. გამოძიება სწარმოებს. დაწვრილებით შემდეგ შეგატყობინებთ.

ურიათუბნელი.

ქუთაისი, 8 აგვისტო. ჩვენ გადმოგვცეს, რომ ამ ერთი კვირის წინად ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი ბ-ნი ოცხელი ყოფილა ქობულეთში ოლქის მზრუნველ ბ-ნ ზავადსკისთან იმ ამბის გასაგებად, თუ რა პასუხი მისცა მან წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას, რომელმაც კაი ხანია სთხოვა, ნება მიეცა საზოგადოებისათვის, მეხუთე კლასი მიემატებინა აწ არსებულ ოთხის კლასისათვის ხსენებულ სასწავლებელში. ამ პასუხს დიდის გულის ფანცქალით ელოდებოდნენ ოც-და-ათამდის სწავლა დასრულებულნი მოსწავლენი, მათი მშობლები და მთელი ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა. ბ-ნ მზრუნველს უპასუხნია, რომ ყოვლად შეუძლებელ საქმედ მიმაჩნიაო, ნება მივსცე მეხუთე კლასის გახსნისა, რადგან ამ საზოგადოებას წესდების ძალით არა აქვს უფლება, არამც თუ მეხუთე და შემდეგი კლასები გახსნას, არამედ იქონიოს ის ოთხი პროგიმნაზიული კლასიც, რომელიც აგერ თექვსმეტ წელიწადზე მეტია, რაც არსებობსო.

მზრუნველის ამ ნაირმა პასუხმა ღრმად უნდა ჩააფიქროს ჩვენის საზოგადოების მოწინავე ნაწილი. ნუ თუ ასეთს მდგომარეობაში უნდა დარჩეს სასწავლებელი? მოწინავე საზოგადოების ზნეობრივი მოვალეობაა, იზრუნოს ამ სასწავლებლის უკეთესის მომავლისათვის, რადგან ამ მდგომარეობაში ყოფნა სასწავლებლისათვის აღარ მოხერხდება: მთავრობის გიმნაზიების მეხუთე კლასებში გარეშეთათვის ადგილი არ იშოვება; ერთად ერთი იმედი ჩვენთვის ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზია იყო, მაგრამ ჩვენს მოსწავლეებს იქაც კარი დაეკეტათ, რადგან აღარც იქ არის თავისუფალი ვაკანსია ჩვენის მოსწავლეებისათვის. მაშ რაღა ქმნან საცოდავად დარჩენილმა მოსწავლეებმა და მათმა შეუძლებელმა მშობლებმა? ვის მიმართონ? სად იშოვონ შვილებისთვის ადგილი?

აი დრო, როცა დიდ საქმეს დახმარება და გაძლოლა უნდა; აი, ეხლა გამოჩნდება ვის უყვარს თავისი მოძმე და ვინ ზრუნავს მისთვის გულწრფელად და ღირსეულად.

თ. ზიარელი.

ს. ქვემო ჭალა. ადგილობრივი ინტელიგენცია აარსებს ბიბლიოთეკას. განძრახულ ბიბლიოთეკისათვის ბ-ნ ნ. ალექსი-მესხიშვილს შეუწირავს დიდძალი ქართულ-რუსული წიგნები და აგრეთვე უფასოდ სამუდამოდ დაუთმია ბიბლიოთეკისათვის სახლი.

თელავი. ვაისაგან მეშინოდა,
უიმ უფრო დამწვა გული;
ზოგი შიმშილისგან კვდება
ზოგს მოსძაგდა მოხრაკული.

წასულმა ზამთარმა ისე გაიარა, რომ წარმოდგენის სახელი არავის გაუგია. დღეს თუმცა წარმოდგენები იმართება ბ-ნ მ. აჯიმამუდოვის გამგეობით, ჰყავს მოწვეული ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ბ-ხი ვაკ. გამყრელიძე და აწყურელი, მაგრამ რა გამოვიდა? ესენი ჰმართამენ ძვირფას წარმოდგენას, ბაზრის ხალხისათვის-კი საჭიროა იაფ ფასიანი, რათა ყველას შეეძლოს სიარული. ამის შესახებ ჩვენ გამოველაპარაკეთ აჯიმამუდოვს და ასე გვიპასუხა: როდესაც მე ვთამაშობდი, აბაზს მაძლევდითო, ეხლა-კი ქ. გაბუნია-ცაგარელი მომიწვევია და რატომ ორი აბაზი არ უნდა გადიხადოთო? ჩემის აზრით, ესეც ძვირია, მაგრამ, ვთქვათ, იშოვნეს დუქნის ბიჭებმა ოროლი აბზი, აგერ წავიდნენ კიდეც ბილეთების ასაღებად, მაგრამ ორ აბაზიანი ბილეთები უკვე გაყიდული იყო, რასაკვირველია აქ ფასიანი ბილეთები მარტო ფეხზე მდგომთათვის არის. აბა, რომელ ერთს ეყოფა, როდესაც ასეთს ბილეთს,ბაზრის ხალხის გარდა, სხვანიც ჰყიდულობენ. მაგალითად იმოდენა შეგირდობა არის ახლა მოსული, რომ, ხუთი იმოდენა ბილეთიც იყოს, გაუყიდავი არ დარჩება, ოღონდ იაფ ფასიანი იყოს.

აგერ ჩაიკეტა თეატრის კარები. ეხლა-კი გადაუწყდათ იმედი, თუმცა კიდევ დიდხანს უარეს გარშემო, ხან ფანჯრებიდან იყურებოდნენ,რა არის როგორმე დაენახათ სცენაზე გამოსული არტისტები, მაგრამ ამაოდ.

ზოგს მოსძაგდა მოხრაკულიო, ვსთქვით ზემორე. იქნება მაღალ საზოგადოებას წარმოდგენებში სიარული არ მოსძაგებია, მაგრამ მაგარი ეს არის, რომ ორ-ჯელ და სამჯერ მაღალ ფასიანი წარმოდგენა გაიმართოს, ერთხელ მაინც დაბალ ფასიანი უნდა იყოს. მდაბიონი ამბობენ: დღეს მთელი დღე ხაზეინებს შავყურებთ, ადვილი-კი არ არის ქუჩაზე ტრიალი და იმოდენა კვერის ცემა, თუმცა დაღლილები ვართ, მაგრამ ქათმებ. ხომ არა ვართ მზის ჩასვლისას შავიბუდოთ. ჩვენც ადამიანები ვართ, ჩვენც გვინდა რაიმე გასართობიო.

ხელები დაგვებერება
ამდენ კვერის ცემითაო;
რა არის, რომ ჩვენც დაგვატკბოთ
გაბუნიას ცქერითაო.

ვასო თუმანაშვილი.

წლიურად შენახვა ქართულ დასისა

შარშან ქართულ დრამატიულ საზოგადოების წლიურს კრებაზე გამგეობამ, სხვათა პროექტთა შორის, კრებას წარუდგინა დასამტკიცებლად მეტად სიმპატიური წინადადება: ქართველ მსასიობთა ცოტად თუ ბევრად უზრუნველ-ყოფა—დრამატიულ დასის წლიურად შენახვა. კრებამ ერთხმივ მოიწონა რა ხსენებული პროექტი, დაავალა გამგეობას და ამ საგნისათვის განსაკუთრებით არჩეულ კომიას პროექტის უფრო საბუთიანად შემუშავება და დამდეგის, ე. ი., წრევანდელის კრებისათვის დასამტკიცებლად წარდგენა.

წრეულს-კი კრება, როგორც შარშან გვპირდებოდა, უნდა მომხდარიყო მაისის პირველ რიცხვებში. ეხლა-კი აგერ აგვისტოს შუა რიცხვები დადგა, სეზონიც კარზედ მოვადგომია, გამგეობას კიდეც დასი შეუკრებია და საცაა, თურმე, მოქმედებასაც დაიწყებენ, მაგრამ შარშანდელ კრების მიერ აღძრულ პროექტებზე არა ისმის-რა.

ჩვენ არას ვიტყვით იმის შესახებ, თუ რავდენად უფერხულია ჯერ სეზონის დაწყება და მერე კრებისაგან სავარაუდო ანგარიშზე დასტურის აღება, ხოლო არ შეგვიძლიან კანონიერი სურვილი არ გამოვუცხადოთ იმის შესახებ, რომ საზოგადო კრება დროით იქმნეს დანიშნული და ყოველ შემთხვევაში უფრო ადრე, ვიდრე ქართული წარმოდგენების სეზონი დაიწყებოდეს.

ამ ჟამად-კი ჩვენა გვსურს შევეხოთ ზემოდ ხსენებულ წინადადებას—ქართულის დრამატიულ დასის წლიურად შენახვას. ყველამ კარგად ვუწყით ქართველ მსახიობთა აწინდელი უნუგეშო მდგომარეობა—ნივთიერი უსაღსრობა და სრული უმწეობა, რაიცა, ეჭვს გარეშეა, ყოველთვის ხელს უშლიდა ჩვენის ეროვნულის ცხოვრების სრულს გაშლა-განვითარებას.

თეატრი ვითარცა ცხოვრების სალსარი ჩვენში არასოდეს არ იყო ვისმესთვის მ ვიდელი და ვერც ვერავის ჰკვებავდა (ჩვენ არ ვეხებით ორს განსაკუთრებულს შემთხვევას: ვ. აბაშიძეს იუბილეის და ავადმყოფ მსახიობის ვ. მესხიშვილის უხვ დახმარებას), ხოლო ზოგიერთნი თუ ეტანებოდნენ ქართულ სცენას და ისიც უფრო წინა წლებში, მხოლოდ იმიტომ რომ საქვეყნო სამსახურის სურვილით იყვნენ გამსჭვალულნი და ნამდვილის არტისტიულის ტემპერამენტით და სასცენო ნიჭით აღჭურვილნი.

მას შემდეგ კარგა ხანმა განვლო; ზოგნი შეაბერდნენ კიდეც ჩვენს სცენას. საბედნიეროდ ჩვენდა, დღეს დღეობით, ცოტად თუ ბევრად, ყველგან და ყოველს საქმეში ჩნდება შრომის საფასური, რა თქმა უნდა, შედარებით ფრიად მცირე მწიგნობრობის, მწერლობის და სხვა საქმეთა მსახურნი ცოტათი მაინც უზრუნველ ყოფილნი არიან, *) ქართველ მსახიობთა ნივთიერი მდგომარეობა-კი ისევ ისეთია, როგორც ამ ოცისა და ოცდახუთის წლის წინად იყო: შრომის უმცირესი სასყიდელი და ისიც მხოლოდ ოთხი-ხუთის თვის განმავლობაში.

ამიტომ, როცა შარშან გამგეობამ საზოგადო კრებას ქართველ მსახიობთა უზრუნველ ყოფის წინადადება წარუდგინა, ჩვენ ყველანი, ქართულ თეატრის გულშემატკივარნი, დაიმედებული ვფიქრობდით, რომ იგივე გამგეობა რაიმე სალსარს მოსძებნიდა ამ ფრიად მნიშვნელოვანის პროექტის განსახორციელებლად, ვინაიდგან თავი და თავი საქმე ამ პროექტში სალსარი და ნივთიერი საშუალება იყო.

ხოლო რამდენადაც ჩვენ ვიცით გაზეთებიდან თუ კერძო კაცთაგან, გამგეობას დღევანდლამდე არავითარი ღონე არ უღონია და, რა თქმა უნდა, ვერც ვერაფერ განსაკუთრებულ სალსარს მოსძებნიდა; გამგეობის კასსა კი, როგორც ჩვენი დამშეული მსახიობნი გაიძახიან, ჩვენს კუჭზე უფრო ცარიელიაო.

ასეა თუ ისე, რაკი გამგეობას სალსარი ვერა უპოვნია რა, ძრიელ საეჭვოა, რომ დასის წლიურად შენახვა დამდეგ სეზონიდან მოხერხდესო, გაიძახიან ჩვენის თეატრის გულშემატკივარნი და იმედგაცრუებულნი მსახიობნი; იქნება ამასვე ფიქრობენ გამგეობის წევრნი და ეგ მით უფრო დასაჯერებელია, რომ გამგეობა თავის მოსაწვევ ბარათებში, რომელნიც მსახიობთათვის დაუგზავნია,—სათუოდ იხსენიებს დასის წლიურად შენახვის საქმეს.

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ გამგეობას თავისუფლად შეეძლო ეხლავე შესდგომოდა დასის წლიურად დაჭერვას და დროით მოქმედების შესაფერი პროგრამა და პირობანი გამოერკვია, რადგან ამ საქმისათვის საჭირო შეძლება და სალსარი გამგეობას უკვე მოეპოება.

საქმე ის არის, რომ გამგეობისა და კომისიის შეერთებულ კრების ბჭობათა თბირს უკვე გამოუნგარიშებია, რომ, თუ ვინიცობაა დასი წლიურად იქმნა დაჭერილი, როგორც ქალაქ ტფილისში, აგრედვე პროვინციებში, ყველა ხარჯების დასაფარავად, მოსალოდნელ შემოსავლის გარდა, გამგეობას დასჭირდება კიდევ 2000 მანათამდეო. და აი სწორედ ეს ფული გამგეობას ამ ჟამად სრულად და თავისუფლად მოეპოვება.

მკითხველებს ეხსომებათ, რომ თავად-აზნაურთა კრებამ, თავის პატივცემულის მარშლის წინადადებით, აპატია რა გამგეობას მასზედ დარჩენილი შარშანდელი ვალი, იმავე დროს, რა თქმა უნდა, ისევ თავ. მელიქიშვილის წყალობით, ქართ. დრამატ. საზოგადოებას დაუთმო თეატრი წინანდელ საიჯარო 4500 მ. მაგიერად 2000 მანეთად. მაშასადამე, გამგეობის წლიურ სავალდებულო ხარჯს დააკლდა 2500 მან., სწორედ ის ფული, და მეტიც, რაც საჭიროა წლიურად დასის შენახვა.

ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ თუ დრამატ. საზოგ. გამგეობა უფრო ფხიანად, უფრო შეგნებულად და უფრო მეტის სიცხოველით მოიქცევა *), ქართველი თავად-აზნაურობა, სანამ მის ხათავეში პატივცემული თავადი დ. ზ. მელიქიშვილი სდგას, ეხლანდელ მცირე იჯარასაც სრულებით აპატიებს, თუ, რა თქმა უნდა, გამგეობა ქართულ თეატრის საქმეს ჯეროვან დონეზე დააყენებს და ქართულ წარმოდგენებს, ვითარცა ეროვნულს თვით-ცნობიერობის და განათლების ფაქტორს, ტფილისის გარედაც—პროვინციებში გადაიტანს და გაავრცელებს.

ვათავებთ რა ამით ჩვენს წერილს ქართულის დასის წლიურად შენახვის შესახებ, ჩვენ სრული იმედი გვაქვს და ბევრი საბუთიც ვიგულისხმოთ, რომ ყოვლად პატივცემული თავ. დ ზ. მელიქიშვილი, —თუმცა ამ ორის წლის წინად გულნატკენიც იყო ქართულ თეატრისაგან, ვითარცა საზოგადოებრივი და ჩვენ ეროვნულ საქმეში ღრმად ჩახედული კაცი, არც ერთს შემთხვევას არ აუქცევს მხარს, რომ კეთილი მფარველობა გაუწიოს ჩვენს თეატრს, რომელიც ამ ხანად მაინც ერთი უძლიერესი მომქმედთაგანია ჩვენის ხალხის კულტურულ წარმატების საქმეში.

სცენის მოყვარე.

რუსეთი

კუს წამალიც მოუგონიათ, როგორც გაზეთები ამბობენ. ეს წამალია თურმე კანკროინი. მომგონი დოქტორი ადამკევიჩია. კონკროინის შესახებ ვრცელი წერილი დაუბეჭდია პარიჟელ ექიმს რენოლს სამკურნალო ჟურნალში.

— ყირიმიდან თათრები ოსმალეთში მიდიან. იმათ მამულებს რუსნი ჰყიდულობენ ოხრად. აი, ეხლაც თურმე იყიდება მამული ერთის სოფლისა ზღვ ზღვის პირად.

— ამ ჟამად მთელ რუსეთში მხოლოდ 16 საეკკლესიო-საოსტატო სასწავლებელია. უნდათ ამისთანა სკოლები კიდევ დაჰმართონ და მათი რიცხვი 40-მდე აიყვანონ. ამ სკოლებში 3 წლის კურსია. კურს-დამთავრებულთ ნება აქვთ იმასწავლებლონ ორ-კლასიან და პირველ-დასაწყის სკოლებში. საეკლესიო-საოსტატო სასწავლებელთა მასწავლებლებისთვის კურსები იყო გამართული პეტერბურგში ამას წინად ბუნების-მეტყველების შესასწავლად. კოსმოგრაფიის შესახები ლექცია 45 იყო წაკითხული, საზოგადო კურსი ბუნების-მეტყველებისა 60 ლექციად წაიკითხეს, ჰიგიენის შესახები 15 ლექცია იყო. სასწავლებლების საბჭომ გადასწყვიტა თითოეულ სკოლას მიეცეს თითო საფიზიკო კაბინეტი, 1500 მან. ღირებული.

— პეტერბურგში ამ თვის გასულიდან უნდათ შემოიღონ საფოსტო უწყებაში ავტო-მობილები კორესპონდენციის გადასატანად რკინის გზებამდე.

— ვიღაც მაშუნოვმა საზარელი მკვლელობა მოახდინა ამას წინად პეტერბურგში. მოჰკლა ცოლი ჩაქუჩით და პატარა შვილი. მაშუნოვი დაიჭირეს. სამი დღე თავს ისე იკატუნებდა და ისე სწუხდა, რომ ეგონათ, იქმნება მართლა იმან არ მოკლაო, მაგრამ როცა უთხრეს, ეს ჩაქუჩი აქა და აქ გიყიდნიაო, გამოტყდა. მაშუნოვი იღებდა დღეში 3 მანათს მუშაობით.

უცხოეთი

საფრანგეთი. გასულ პარასკევს სასამართლომ მთელი სხდომა მოანდომა უმთავრესად საკონკურსო მმართველობის გამგის ბონნოს ჩვენებას, რომელმაც განმარტა ემბერთა უძრავ-მოძრავ ქონების რეალიზაცია. სხვათა შორის, ბონნომ აჩვენა, რომ ემბერების მიერ ნასესხი თანხის მთელი ოპერაციები დაახლოვებით 700 მილიონ ფრანკს უდრისო. ნომინალური პასსივი დაასახელა 117 მილიონისა, ხოლო ნამდვილი—40—50 მილ. ფრ.; მარტო ფრედერიკ ემბერი ჰხარჯავდა წელიწადში 200,000 ფრანკს, ის სხვაა, რასაც უძრავ ქონებიდგანა ჰხარჯავდა. ტერეზა ხელ-ახლა აცხადებს, განვიმარტავთ ჩემის ქონების მდგომარეობას, რომელსაც კრაუფორდები განაგებენ, მხოლოდ პროცესსის დასასრულსაო. პასსივი ჩემის ქონებისა 45 მილ. ფრ. კი არ შეადგენს, არამედ 30 მილიონ ფრანკზედ ნაკლებიც არისო. მე ყოველთვის ხელ-მოჭერით ვცხოვრობდი და ფულს ვაძლევდი ყველას, ვისაც ჩემთან რაიმე საქონელი მიჰქონდაო.

პრეზიდენტი ჰკითხავს ტერეზას,—სადა ჰღებულობდი ფულს კუპონებითაო, მაგრამ ტერეზასაგან პასუხს ვერ ღირსა: ბრალდებული ტერეზა მთელი ათი წუთი ლაპარაკობს მხოლოდ საკუთარს ვაჟებზედ, ტანჯვაზედ, თვისს პატიოსნებაზედ და დაამთავრა თავისი სიტყვები ასე: „ლაბორიმ იცის ყველაფერი; მე რომ მართლა დამნაშავე ვყოფილიყავი, ვერც ერთს დღესაც ვერ ვიცოცხლებდიო“. შემდეგ ჩვენებასართმევენ ემბერების სახლის გამგეს არმან პარეირს; მოწამე პარეირი პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ იგი დაპატიმრებულ იქმნა. მან ნამდვილადა ჰნახა ცეცხლ-უკარებელ განჯინაში ფასიანი ქაღალდების პაკეტები; სხვა არა იცის-რა. პარეირის მეუღლე, რომელიც ემბერებთან მსახურებდა მეკუჭნავედ, აჩვენებს,—ხშირად მინახავს ემბერებთან კრაუფორდებიო. ჰენრი კრაუფორდს „დიპლომატს“ უწოდებდნენ, რობერტ კრაუფორდს-კი, რომელიც მარია დორინიაკის საქმროდ ითვლებოდა, „ფავორიტს“ ეძახდნენო (სიცილია).

ტერეზა. მოდიოდა თუ არა ყოველ დილით ჩვენსა ფავორიტი?

მოწამე ქ-ნი პარეირისა. დიაღ!

პრეზიდენტი. ის ამერიკელი იყო?

მოწამე პარეირისა. დიაღ, ამერიკელი იყო.

ლაბორი. ჰქონდათ ემბერების სახლში გამართული ტელეფონი, თუ არა?

ქ-ნი პარეირისა. არა!

ვექილი კლიუნე. ერთი იმ კრაუფორდთაგან ემილ დორინიაკს ძლიერა ჰგავდა?

მოწამე პარეირისა. სრულიადაც არა!

გამოუძახეს შემდეგ მოწამეს, ნოტარიუს ლანგეს, რომელმაც შეადგინა წესდება „La Rente Yiagère“-სი და თავისის ნათესავების შემწეობით ტერეზას კრედიტორებს 3,700,000 ფრანკი გადაუხადა; ლანგემ დაწვრილებით აჩვენა თავისი დამოკიდებულება ემბერებთან.

პრეზიდენტი. თქვენ გასამრჯელოდ რამდენი მიიღეთ?

ლანგე. 23 ათასი ფრ. სამის წლის განმავლობაში. ქ-ნ ემბერს ჰსურდა მოეცა ჩემთვის კიდევ 30,000 ფრანკი ნარბონს წასასვლელად, მაგრამ მე უარი განვუცხადე ამ ფულის მიღებაზედ.

სასამართლოს პრეზიდენტი ცოტა ხნით სხდომას სწყვეტს. შემდეგ, როცა ხელახლა გახსნა სხდომა, პრეზიდენტმა გაკვირვებით გამოუცხადა,—ბანკირი კატ-

---

*) ამაში ვერ დავეთანხმებით პატივცემულს ავტორს. მწერლობა, მწიგნობრობა თითქმის სრულიად არ აჯილდოვებს მწერლის შრომას.

რედ.

*) თუ რამდენად მოუმზადებლივ და უთავბოლოდ იქცეოდა გამგეობა, იქიდგანა სჩანს, რომ, შარშანდელ თავად-აზნაურთა კრებაზე, როცა საყვედური გასცა გამგეობის წინაადმდეგ—რუსულ ანტრეპრიზას რად ეწევაო, არვინ აღმოჩნდა, გამოერკვია კრებისათვის ეს უფრო შემცდარი აზრი და კრება ისეთ გუნებაზედ იყო, რომ, თუ არ პატივცემულ თავ. მელიქიშვილის მარილიანი სიტყვა, გამგეობა არას მიიღებდა...

ავტ.

ტოი, რომელმაც ავადმყოფობის მოწმობა გამოგზავნა სასამართლოში და შემოთვალა,—შეუძლებლობის გამო პროცესს ვერ დავესწრებიო, სასამართლოში გამოცხადდაო..

კატტოი ერთი იმ კაცთაგანია, რომელსაც ხელობად მხოლოდ ცილის წამება გაუხდია.

კატტოიმ აჩვენა, რომ ეხლანდელს სასჯულო საქმეთა მინისტრს ვალდეს 235,000 ფრანკი-კი არ მივეცი, არამედ სამჯერ სადარბაზოდ მოსვლისთვის 10,000 ფრანკიო. მე სხვა დამოკიდებულება ვალდესთან, როგორც ვექილთან, არავითარი არა მქონიაო. მოწმე, ლაბორი, ფრედერიკ დორონიაკი და ტერეზა შეკამათდნენ.

ტერეზა ამტკიცებს, რომ კატტოის წიგნაკებიდგანა და ერთ პატარა საბუთის ქაღალდიდგან (ეს საბუთის ქაღალდი საქმეშია ჩაკერებული), რომელშიაც ტერეზამ აღნიშნა თანხა, უნდა იქმნას აგრეთვე ჩამატებული, რომ კატტოიმ მისცა ვალდეს 235,000 ფრანკიო; კატტოიმ ამ სიტყვების პასუხად მხოლოდ მხრები აიწია...

ლაბორი. მე ვთხოულობ სასამართლოში გამოცხადდნენ რეიტლინგერი და სენატორი კრემიე. პრეზიდენტი ამაზე თანხმობას აცხადებს. შემდეგ ტერეზამ ვრცლად უამბო, თუ რა მოვახშურის ხრიკებითა და გაიძვერაობით ულმერთოდ ჰყვლეფდა კატტოი მას, ტერეზას. აქ ტერეზამ მეტის-მეტ აღელვების გამო იხმარა სიტყვები: „ეგ მატყუარა, ფლიდი, გაიძვერა, სისხლის მსმელი, გარყვნილი, ზნეობადაცემულიო და მრავალი სხვ.

პრეზიდენტი. კიდევა გთხოვთ, ქ-ნო, თავდაჭერით მოიქცეთ და ზრდილობიანად ილაპარაკოთ.

ტერეზამ მთელი 3/4 საათი ილაპარაკა შეუწყვეტლად. მისმა მჭევრ-მეტყველურმა და რიხიანმა ლაპარაკმა მთელის დარბაზის ყურადღება მიიქცია!

ტერეზა. ჩვენ გამოგვაცხადეს კოტრებად იმისთვის, რომ ამისთანა (კატტოიზე უთითებს) საზიზღარისა და ფლიდის, ვერაგის ბოროტ-მოქმედისათვის ფული გადაგვეხადნა. ოღონდ-კი არ გაეგოთ ჩემის მილიონების მომდინარეობის ნამდვილი წყარო და კატტოის არ მოეგო პროცესსი ჩვენს წინააღმდეგ და ჩემს თავს დედამიწის ზურგზე უუბედნიერესად ჩავთვლიდი“. ბრალდებული ტერეზა მოჰყვა, თუ როგორ მუხლებზე დაჩოქილი ეხვეწებოდა კატტოი, რომ მოვახშეობაზე საჩივარი არ შემეტანა სასამართლოშიო. ამაზე დავთანხმდებოდი, რომ გამომძიებელს ბ-ნ ლეიდეს ჩემთვის ხელი არ შეეშალა ამ საქმეშიო,—სთქვა ტერეზამ. ლაბორი ბრალსა სდებს კატტოის უფრო იმაში, რომ მან ეგვიპტეში გაჰგზავნა თავისი სავაჭრო წიგნები. კატტოი ამტკიცებს, იქ გაგზავნილია მხოლოდ უმნიშვნელო სავაჭრო ქაღალდებიო. ლაბორი ამნაირს უსაფუძვლო მტკიცებას უწოდებს ცდას ბრალდებულის მხრით, რომ სასამართლოს ხელიდან გაუსხლტეს.

პრეზიდენტი. თქვენ შეგიძლიანთ ყველაფერზე ილაპარაკოთ, მაგრამ გთხოვთ შეინახოთ კორრექტიული ფორმა. ლაბორი სცდილობს თავისი სასტიკისა და გულმოსულის ლაპარაკით კედელს მიაკრას მოწამე კატტოი. როდესაც კატტოიმ გამოაცხადა, არა ვნანობ, რომ სასამართლოში ვუჩივლე ემბერებს, რადგან, თუ ასე არ მოვქცეულიყავი, ეგენი განაგრძობდნენ საწყალი ხალხის ძარცვა-ყვლეფასაო,—დამსწრე საზოგადოებამ ყვირილითა და ხმაურობით დაჰფარა მისი სიტყვები; ბევრმა მასხარადაც აიგდო იგი და ისმოდა ხმები: „საკვირველია, ერთი მძარცველ-მყვლეფელი მეორეს უკიჟინებს—საწყალს ხალხსა ჰყვლეფდაო“!..

პრეზიდენტმა წაიკითხა რამდენიმე წერილები ემბერებისა კატტოისადმი მიწერილი, სადაც კატტოის მადლობასა სწირავენ დახმარებისა და უანგარობის გამო.

ფრედერიკ ემბერი. კატტოიმ ყელში ხელი წაგვიჭირა, ფეხები მაგრა დაგვადგა და ძალა დაგვატანა, რომ ეს წერილები დაგვეწერა! შემდეგ ამისა ტერეზამ ხელახლა გამოაცხადა, მილიონებს გაჩვენებთ და დაგიმტკიცებთ მისს არსებობასაო. პრეზიდენტმა სასამართლოს სხდომა გადასდო ორშაბათისათვის.

კავკასია

ნარზანის საქმე წინ მიდის. წყარო უკეთესად გაუკეთებიათ, გაზი მოჰმატებია წყალს. ნარზანის გაყიდვა უკისრნია ერთს მოსკოველს ფირმას. ფირმა ვალდებულია თურმე ყოველ წლივ გაჰყიდოს რუსეთის 18 გუბერნიაში 3 მილიონი ბოთლი. ბოთლებიც ეხლა სხვანაირი იქნება ნარზანისათვის: მაღალი, ევროპიული, ლითონის საცობი ექნება, რომ გაზი არ გაიპაროს.

პარიჟიდგან ბათომამდე.

(წერილი მეორე *)

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ლიონი. ლიონი—ერთი უმთავრესი ქალაქთაგანია საფრანგეთისა. სულ უკანასკნელ დრომდე ქ. ლიონს მეორე ადგილი ეჭირა პარიჟს შემდეგ მცხოვრებთა რაოდენობით, მაგრამ ამ უკანასკნელ წლებში ლიონი ჩამორჩა სხვებსა და თავისი ადგილი დაუთმო ქ. მარსელს. 1901 წლის აღწერამ აღმოაჩინა, რომ იმ დროს, როცა მარსელის მცხოვრებთა რაოდენობამ ამ უკანასკნელ ხუთის წლის განმავლობაში იმატა 60,000-ით და 500,000-მდე ავიდა, ლიონის მცხოვრებთა რიცხვმა იკლო 14,000-ით და ეხლა არ აღემატება 451,000-ს!

ასე და ამ გვარად, ლიონს ამ ჟამად მესამე ადგილი უჭირავს მცხოვრებთა რაოდენობით პარიჟისა და მარსელის შემდეგ.

ლიონი მდებარეობს ორ მოზრდილ მდინარის ნაპირებზედ, სახელდობრ რონისა, რომელიც გამომდინარეობს ალპიის მთებიდგან აღმოსავლეთ დასავლეთისკენ ქ. ლიონამდე, ხოლო ლიონიდგან-კი უხვევს სამხრეთისაკენ, და სონისა, რომელიც თითქმის ჩრდილოეთიდგან სულ სამხრეთისაკენ მიმდინარეობს.

ეს ორი მდინარე ჰყოფს ლიონს სამ სხვა-და-სხვა ნაწილად: ერთი ნაწილი მდებარეობს მდ. სონის მარჯვენა კიდეზედ, რომელიც მეტად ვიწროა და ხელს უშლის ქალაქის გაფართოვებას, სიგანეზედ გაშლას. მეორე ნაწილი მდებარეობს აგრეთვე ვიწროსა და გაგრძელებულ ნახევარ კუნძულზედ მდ. რონისა და სონის შუა. ამ ნახევარ-კუნძულის მდებარეობაც ჰზღუდავს ქალაქის გაფართოვებას, ჩრდილოეთი ნაწილი კი ამ ნახევარ-კუნძულისა, რომელიც ერთად-ერთი მხარეა, სადაც შესაძლო იყო ქალაქის გაფართოვება, შეკრულია მთებით. მაგრამ, სამაგიეროდ, მდ. რონის მარცხენა ნაპირი, მესამე ნაწილი ქალაქისა, წარმოადგენს ვეებერთელა, ხელის გულსავით ვაკეს, თვალუწვდენელს ტრამალს, სადაც ქალაქს თავისუფლად შეუძლიან გავიდეს დიდს მანძილზედ.

ამ განსაკუთრებულ გეოგრაფიულსა და ტოპოგრაფიულს თვისებას მცირე მნიშვნელობა არა ჰქონია ლიონის ისტორიასა და განვითარებაზედ. იულიოს კეისარის მიერ გალლიის ომების დროს დაპყრობამდე, რაიცა მოჰხდა ქრისტეს შობამდე ერთის საუკუნის წინად, გალლიის ქალაქი ლუგუდუნუმი, ეხლანდელი ლიონი, ეკუთვნოდა პატარა და სუსტს ერს—სეგუზიანებს; ეს ქალაქი აქ გააშენეს უფრო მოხერხებულისა და მიუვალის ადგილ-მდებარეობის გულისათვის, მდ. რონისა და სონის კიდესაგან შეზღუდულ ნახევარ კუნძულზე, სწორედ იმ ადგილას, სადაც ეს ორი მდინარე ერთმანეთს ერთვის.

რომაელების ქალაქი და რომაელთა ახალშენი გალლიის ომების შემდეგ გაშენდა გალლიის პირდაპირ, მდ. სონის მარჯვენა კიდეზედ. რომაელთა ბატონობის დროს ლიონმა ადრევე მიიპყრო ყურადღება და მალე გარდაიქცა პირველ ხარისხოვან ქალაქად. მისდა საბედნიეროდ, მშვენიერი გეოგრაფიული მდებარეობა იმ ადგილას, სადაც ორი დიდი მდინარე ერთვის ერთმანეთს,—სონა და რონა, რომელიც მუდამ ბუნებრივი გზა იყო და იქნება ვაჭრობის განვითარებისათვის, ყოველთვის ხელს უწყობდა ქალაქის გაშენებასა და ზრდას. ამავე გარემოებამ გალლიის ომებისა და მის საგანგებო მფლობელობის მოსპობის შემდეგ ლიონს დიდი უპირატესობა მიენიჭა მდ. რონისა და ხმელთა შუა ზღვაზედ, ხოლო ხმელთა შუა ზღვიდგან იტალიასა და რომს მიმოსვლის გაჩაღებამ ლიონი გარდაჰქმნა რომაელთა გალიის უმთავრეს ადმინისტრატიულ ადგილად. ყოველგვარმა ურთიერთობამ, განსაკუთრებით ვაჭრობის გაძლიერებამ გალლიის სხვა-და-სხვა ნაწილებსა და გარშემო მდებარე ქვეყნებს შორის—ლიონს, როგორც ყოველგვარ ნაწარმოებთა ბაზარს, სადაც მრავალი სავაჭრო გზები მიდის სხვა-და-სხვა ქვეყნებისაკენ, მოუპოვა არა მარტო ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობაც-კი. ერთის სიტყვით, რომელთა ბატონობის დროს ლიონი გახდა გალლიის სატახტო ქალაქად, ხოლო „რომაელების მშვიდობიანობის“ მეოხებით მეტად აღყვავდა, გაიფურჩქნა და პირველ სამ საუკუნის განმავლობაში ქრისტეს შემდეგ დიდად დაწინაურდა; მაგრამ შემდეგ რომის მესამე იმპერიის შინაურულ მდგომარეობისა და გერმანელთა თავდასხმის გამო ლიონიც დაეცა.

საშუალო საუკუნოების ეპოქაში ლიონი თითქმის სრულიად არ იქცევდა ყურადღებას. კერძო ქვეყნებთან კავშირის მოსპობამ და ვაჭრობისა და ურთიერთობის შეწყვეტამ სული შეუხუთა და განდევნა მსოფლიო ბაზრიდგან ისეთი დიდი საერთაშორისო ცენტრი, როგორიც იყო ლიონი. ფეოდალურ განთვისების უკიდურესმა განვითარებამ შექმნა მთელი რიგი ადგილობრივ ახალ პატარა ცენტრთა, წინანდელი დიდი ცენტრები-კი დღითი-დღე სუსტდებოდნენ, მაგრამ ლიონსა და მის შესანიშნავ მდებარეობას მაინც ბრწყინვალე მომავალი ელოდდა. საზოგადო დაქვეითებამა და დაცემამ ლიონი და მისი ადგილ-მდებარეობა თითქმის უხმარ და გამოუსადეგარ ადგილად გაჰხადა... მაგრამ გავიდა საუკუნოები და პატარა ფეოდალური სახელმწიფოების რიგიდგან თანდათან შეიქმნა და აღორძინდა დიდი სახელმწიფოებიც; მათ შორის დამოკიდებულება უფრო და უფრო ძლიერდებოდა, იზრდებოდა და იმ ქალაქებმა, რომელთაც ცენტრისა და საერთაშორისო სახელი მოიხვეჭეს, ნელ-ნელა წამოიწია და ფეხზედ დადგა. მათ შორის იყო ლიონიც.

(დასასრული იქნება)

ვ. ხუდადოვი.

სამეცნიერო წერილი

ილია მეჩნიკოვის ახალი გამოკვლევა სიფილისის შესახებ.

სამასი წელიწადია, რაც მეცნიერნი სცდილობენ სიფილისის (ათაშანგის) შხამის გაგებასა და გამოკვლევას. მას შემდეგ, რაც პასტერმა და კოხმა ბაქტერიოლოგია გაამდიდრეს და აღმოაჩინეს სხვა-და-სხვა ბაცილები, მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს აგრეთვე სიფილისის ბაცილის აღმოჩენასაც.

რამდენჯერმე ვითომ კიდევაც აღმოაჩინეს ამ სენის ბაცილა, მაგრამ ხანგრძლივის დაკვირვების შემდეგ ახლად აღმოჩენილი ბაცილა უარ-ყოფილ იქნებოდა ხოლმე.

სახელ-განთქმულმა ფურნიემ, რომელსაც ზედ-მიწევნით აქვს შესწავლილი ეს სენი, გამოსთქვა ის აზრი, რომ ძლიერ საეჭვოა სიფილისის ბაცილის აღმოჩენაო.

ამ გვარი პესიმისტური აზრი ისეთი მეცნიერისა, როგორიც ფურნიეა, ფრიად საყურადღებო იყო.

სამწუხარო და საძნელო ის არის, რომ სიფილისით მხოლოდ ადამიანი ხდება ავად, მაშასადამე, მეცნიერული ცდაც სხვა-და-სხვა გვარ პირუტყვზედ შეუძლებელია; რასაკვირველია, ეს დაბრკოლება ფრიად აძნელებს ამ სენის ბაცილის აღმოჩენას.

ჯერ კიდევ მეცნიერმა Bicord-მა წარმოსთქვა, ვითომ სიფილისი თავდაპირველად ადამიანს რომელსამე პირუტყვიდგან უნდა გადასდებოდეს. ეს ის დრო უნდა ყოფილიყო, როდესაც ადამიანი ჯერ კიდევ სულიერად განუვითარებელი იყო და პირუტყვებთან სქესებრივი დამოკიდებულება ჰქონდა, დღეს არც ერთს პირუტყვს არა აქვს ისეთი სენი, რომელიც წააგავდეს სიფილისს. ამიტომაც უნდა წარმოვიდგინოთ, რომ რომლისამე პირუტყვის ერთ-ერთმა სენმა ადამიანის სხეულში გადასვლით თანდათან იცვალა თავისი მომწამვლავი ძალა და ბოლოს მიიღო ეხლანდელ სიფილისის სახე.

თუმცა ბევრს სცდილობდნენ მეცნიერნი, რომელისამე პირუტყვისთვის სიფილისი გადაედოთ, მაგრამ ამაოდ; არც ერთ პირუტყვს არ გამოაჩნდა მიდრეკილება ამ სენისადმი.

ბოლოს გაახსენდათ მაიმუნი, ეს ჩვენი „პატივცემული წინაპარი“. თითქმის ოცი წლის განმავლობაში სხვა-და-სხვა მეცნიერმა უცრა მაიმუნს სიფილისის შხამი; ამ გვარ აცრაში იღებდა მონაწილეობას თვით ფურნიეც, მაგრამ ამ აცრას ვერავითარი შედეგი ვერ მოჰყვა.

შეიძლება საქმე ამით გათავებულიყო, რომ დიდებულ მეცნიერს ილია მეჩნიკოვს არ მოეკიდნა თვითონ ხელი ამ საქმისათვის.

მეჩნიკოვმა ასაცრელად მხოლოდ იმ მაიმუნთა ჯიში არჩია, რომელიც უფრო ახლო სდგას ადამიანთან თავის აგებულებით, ესე იგი რომელსაც უფრო მეტი ნათესაობა აქვს ჩვენ „პირველ წინაპართან“. ამ გვარი მაიმუნებია შიმპანზე, ჰორილლა და ორანგუტანგი.

აქვე უნდა ვსთქვათ, რომ შიმპანზეს შოვნა და ყიდვა ძლიერ ძვირია; ამის მიუხედავად მეჩნიკოვმა ერთი შიმპანზე მაინც იყიდა, მაგრამ საუბედუროდ მაიმუნი მალე ჭლექით გახდა ავათ და მოკვდა.

იყიდა მეორე. დაუწყო აცრა სიფილისის შხამისა. ბოლოს, რამდენისამე ხნის შემდეგ, იმ ადგილას, სადაც აუცრეს შხამი, მაიმუნს გამოაჩნდა მუწუკი-სიმსივნე, რომელიც, გაშინჯა თუ არა ფურნიემ აკადემიის სხდომის დროს, წამოიძახა: „ეს მოვლენა მოასწავებს მეცნიერების გამარჯვებასო“!

ეხლა მეჩნიკოვი უცდის, როდის გამოაჩნდება შიმპანზეს მეორე და მესამე ფორმა სიფილისისა. იმ შემთხვევაში, თუ რომ შიმპანზეს სამივე ფორმა გამოაჩნდა ამ სენისა, მეჩნიკოვის აზრით, შესაძლო იქნება სიფილისის მიკრობის აღმოჩენა და გამკურნავის შრატის მომზადება. ამ გამოკვლევაში მეჩნიკოვს ეხმარება გამოჩენილი მეცნიერი—ფრანგი რუ.

მეჩნიკოვმა თავისი მოხსენება წაიკითხა პარიზის სამედიცინო აკადემიაში, იქვე აჩვენა შიმპანზეც.

როგორც ჟურნალები გადმოგვცემენ, მეჩნიკოვის მოხსენებამ ყველანი დიდად აალელვა.

ექიმი ბადრიძე

† ვერა მთიულაშვილის ასული

(ნეკროლოგი)

ჩვენს ახალგაზდა განათლებულ ქალთა ისედაც მცირე რიცხვს 5 აგვისტოს სამუდამოდ მოაკლდა სიცოცხლითა და ენერგიით სავსე, გაზაფხულის ყვავილივით ნორჩი, ვერა. განსვენებულმა, სულ თექვსმეტის წლისამ, წელს შეასრულა ტფილისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებლის კურსი მეორე მოწაფეთ და გადაწყვეტილი ჰქონდა, სწავლა განეგრძო, დასწაფებოდა უფრო დიდს სწავლა-განათლების წყაროს უმაღლეს სულიერ საზრდოს მისაღებათ. მაგრამ „ბედმა უმუხთლა უდროვოდ“. სწავლის დაწყებისთანავე, კარ-ჩაკეტილ სასწავლებელში, მას თანდათან ძვალსა და რბილში უჯდებოდა ის აზრი, რომ ცალიერი გაკვეთილების გაზეპირება ბევრს ვერაფერს შესძენს ადამიანს. აი ამიტომ სცდილობდა განევითარებინა ჭკუა-გონება სხვა-და-სხვა სასარგებლო საკითხავ წიგნებით. მისებრ ნაკითხი და განვითარებული ქალი იშვიათია ჩვენში. ამის გარდა იგი იყო იშვიათი ზნეობის და ხასიათის ახალგაზრდა. ყველას გაგიჟებით უყვარდა, როგორც ამხანაგ ქალებს, ისე მასწავლებლებს.

საბრალო ვერა! „განისვენე ბნელ საფლავში!“ დარწმუნდი, რომ შენი სახელი საუკუნოდ დარჩება ჩვენს გულში.

დ. პაპიტაშვილი

თეატრი და ხელოვნება

ქვემო ჭალა. 3 ამა აგვისტოს აქაურ ქართულ სცენის მოყვარულთა გუნდმა წარმოადგინა: 1) «აირივ დაირია». ვ. გუნიასი და 2) «რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ ავ. ცაგარლისა.

წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ: კნ. ა. ფაღავანდიშვილისა, თ. ზაალიშვილისა, ბარბ. ალექსი-მესხიშვილისა, ელ. იგოროვისა, ბ.ბ. ნ. გოცერიძე, ა. აბაზაძე, ბ. ამილახვარი, გ. ჯანდიერი, რეზო ყანჩელი, შ. მესხიშვილი და შ. ამირეჯიბი. მოთამაშეებს სვინიდისიერად შეესწავლათ თავიანთი როლები.

საზოგადოდ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, რასაც ვუდოცავთ წარმოდგენის და საღამოს გამგეს პატივცემულ ბატონ ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილს, რომელიც საზოგადოდ დიდს შრომას ეწევა ადგილობრივ გლეხთა თვით ცნობიერების განსამტკიცებლად. წარმოდგენას მთელი აქაური გლეხობა უსასყიდლოდ დაესწრო. მოთამაშეთა შორის საზოგადოების ყურადღება მიიქცია რეზო ყანჩელმა (გიჟუას როლში), რომელმაც ძალ-დაუტანებლობით შეასრულა ახალგაზრდა კინტოს როლი, საზოგადოება ბევრი აცინა. წარმოდგენას ადგილობრივი თავადობა სამწუხაროდ ძალიან ნაკლებად დაესწრო, რომელიც არა თუ თანაუგრძნობს ამ კეთილს საქმეს, არამედ ხელს უშლის და წინ ეღობება. წარმოადგენა საკონცერტო განყოფილებით და ლეკურის ცეკვით დამთავრდა. ღამის 12 საათზე ხალხი დიდად ნასიამოვნები დაიშალა. დიდის მადლობის ღირსნი არიან როგორც საღამოს გამგე ბატონი ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილი, აგრეთვე ყველა ისინი, ვინც მონაწილეობას იღებდენ ამ წარმოდგენის გამართვაში და მით ხელს უწყობდენ მდაბიო ხალხის გონებრივად გამოფხიზლებას.

ა. ქ.

სოფ. კავთისხევი. (გორის მაზრა). 26 მკათათვეს, სოფელს კავთისხევში ადგილობრივ სცენის მოყვარულთაგან სკოლის დარბაზში გამართული იქმნა, ამავე სკოლის სასარგებლოთ წარმოდგენა. წარმოადგინეს ა. მოხხუბარიძის სამ მოქმედებიანი დრამა „არსენა“ მიუხედავად იმისა, რომ პროვინციაში წარმოდგენის გამართვას ხელს უშლის ბევრნაირი პირობები, აქაურმა ახალგაზრდობამ იმოდენა მუყაითობა და მხნეობა გამოიჩინა ამ საქმეში, რომ წარმოდგენა მაინც გაიმართა. მოთამაშენი კარგად იყვნენ მომზადებულნი და ცდილობდნენ ერთმანეთს არ ჩამორჩენილიყვნენ, თუმცა ცოტა მორცხვობდნენ, როგორც ახლები. ხელოვნურათ მოწყობილი სცენაც ხელს უწყობდა მოთამაშეებს. მადლობის ღირსნი არიან: ერთის მხრით სცენის მოყვარულნი და მეორეს მხრით აქაური საზოგადოება, რომ ასეთს მუყაითობას იჩენს საზოგადო საქმეში. ამისთანა მაგალითს ბევრს ვერ შევხვდებით ჩვენს დაბეჩავებულს ცხოვრებაში! წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო და ნასიამოვნები დაბრუნდა სახლში. რადგან ფასები ყველასათვის ხელ მისაწვდომი იყო, წარმოდგენას საკმაო გლეხ-კაცობაც დაესწრო. ასე რომ ბევრი წილი დაბრუნდა უადგილობის გამო.

ელ. ჯაჯანაშვილი.

ქ. გორი. როგორც ეხსომებათ «ივერიის» მკითხველებს, აქაურმა სცენის მოყვარულებმა შეადგინეს წრე. ამ წრის გამგედ ამოირჩიეს ბ-ნი დათა მაჩაბარიანი, ხოლო რეჟისორად ბ-ნი სიკო კანდელაკი. პირველი წარმოდგენა გამართეს შაბათს, 9 აგვისტოს. წარმოადგინეს «გაყრა», კომ. 4 მ. გ. ერისთავისა, და ორი თითო მოქმედებიანი ვოდევილი ვ. გუნიასი: «ადვოკატთან» და «რაც არ მერგება—არ შემერგება“. წარმოდგენამ საუცხოვოდ ჩაიარა; აგერ ხუთი-ექვსი წელიწადია, პროვინციალურ წარმოდგენებს ვესწრები და არც ერთხელ არ მახსოვს ამისთანად ეთამაშნოთ. ყველაზედ უკეთესი იყო ბ. გოცირიძე (მიკირტუმა), რომლის ხელოვნურმა თამაშობამაც აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება. კარგად ითამაშა აგრეთვე ბ. ჯანდიერმა (ანდუყაფარი). ბ. მეჯუდისპირელმა ივანე—გაყრაში და ონოფრე—ადვოკატთან); თამარ თავდგირიძემ (ყარდაშ-ვერდი—გაყრაში და ნაზიანი—ადვოკატთან); მ. ხახანაშვილმა, ნინო მაკალათიამ, ბ-ნთ სიკო კავთურელმა, კოლა მერაბიშვილმა, არჩილ დვინოევმა, ჯავროვმა და სხვათ. როლები თითქმის ყველამ კარგად იცოდა, რაც ძლიერ იშვიათია ჩვენის სცენის მოყვარულთა შორის.

არ შემიძლიან არა ვსთქვა ორიოდე სიტყვა ამ წარმოდგენის გამგე ბ. მაჩაბარიანზედაც, რომელმაც სავსებით და უნაკლულოდ შეასრულა თავის თანამდებობა. ეტყობა, რომ გამოცდილი გამგეა და კარგადაც ესმის თავისი მოვალეობა. იმედია, რომ თუ იგი გამგედ დარჩება და ამხანაგებიც დაჰყვებიან ნებას, როგორც მისი ენერგიითა და გამოცდილებით სჩანს, ჩქარა სახალხო თეატრიც გვექნება გორელებს და აქაც აღორძინდება თეატრის საქმე.

ხალხი საკმარისად დაესწრო წარმოდგენას. ამ პირველი წარმოდგენითა და თავისი კარგის თამაშობით დიდი პატივი და სიყვარული დაიმსახურეს ხალხისა; თუ არ უღალატეს თავიანთ აზრს, თან და თან უფრო შეეჩვევიან სცენას და ხალხიც მათ უფრო მიეტანება. ვუსურვოთ აღორძინება და კეთილ დღეობა მრავალ ხანს ამ ფრიად სიმპატიურს წრეს და თავისი აზრების განხორციელება.

ბიბლიოგრაფია

ხენთი. რაფფის ისტორიული რომანი, თარგმანი ბ. ევანგულოვისა (სომხურიდან).

მთარგმნელს ამ მოთხრობის ცალკე გამოცემისათვის *) წინასიტყვაობა წაუმძღვარებია და სხვათა შორის ამბობს: «ისტორიულმა მსვლელობამ ჩვენ, სომხებსა და ქართველებს, ერთი ბედი გვარგუნა, ერთს დარჯაკში ჩაგვაყენა. მაგრამ ჩვენ როდი ვხედავთ, როდი ვცდილობთ ამის დანახვას.. მე არავის დაცვა-გამტყუნებას არა ვკისრულობ. ჩემი მიზანი ერთმანეთის გაცნობაა»...

---

*) პირველი წერილი იხ. «ივერია» № 144.

ჩინებული «მიზანი» აქვს ბ-ნ მთარგმნელს და ჩინებულადვე იარაღი უხმარია ამ «მიზნის» მისაღწევად. «გავიცნოთ ერთმანეთი,—ამბობს იგი ცოტა ქვემოთ—ჩავიხედოთ ერთმანეთის სულსა და გულში, დავუგდოთ ყური ერთმანეთის გულისა და მაჯის ცემას და, დარწმუნებული ვარ, ეს გაცნობა სამოყვროთაც გამოგვადგება და სამტროთაც, ვინაიდან გაცნობილი მტერი უფრო ნაკლებ საშიშია, ვიდრე უცნობი. ჩემის აზრით ერთმანეთის გასაცნობად უკეთესი საშუალება—ერთმანეთის ლიტერატურის გაცნობაა».

„ამ აზრით გამსჭვალულს“ გადმოუთარგმნია „ჭერხნობით“ რაფფის მოთხრობა, „ხენთი“. დიახ მშვენიერი აზრია და პირნათლადაც შესრულებული.

მართლაც, ჩვენთვის დიდი სირცხვილია, რომ ეგეთს მახლობელ მეზობელს ერს, როგორიც არის სომხობა, ვერ ვიცნობთ; ვერ ვიცნობთ განსაკუთრებით მის ლიტერატურას, რომელიც, არ შეიძლება, ჩვენთვის არ იყოს საინტერესო. გვეპატიება, რომ ევროპის რომელისამე მცირე ერის ლიტერატურას არ ვიცნობდეთ, ან არც გვაინტერესებდეს, მაგრამ სომხების ლიტერატურა კი არამც თუ უნდა გვაინტერესებდეს და ვიცნობდეთ, არამედ შესწავლილიც უნდა გვქონდეს, როგორც სომხებს ქართული.—ქართველების და სომხების—ინტერესები ისეა გადახლართული ერთმანეთში და აუცილებელია ჩვენი ურთიერთობა, რომ ამ მოვლენის უარყოფა გონებით ბრმასაც არ ძალუძს. მაშასადამე, თუ ურთიერთობა გვაქვს, მისვლა-მოსვლა, აღებ-მიცემობა და სხვა, ისე როგორ შეიძლება, რომ ერთმანეთსაც არ ვიცნობდეთ;—იმიტომ მაინც, რომ «ეს გაცნობა სამოყვროთაც გამოგვადგება და სამტროთაც». აუცილებელია ეგ გაცნობა, მეტის-მეტად საჭირო; და ლიტერატურა ხომ ისეთი „სარკეა, რომელშიაც—ვიტყვი მთარგმნელის სიტყვით—ნათლად გამოსჭვრეტს ერის ღირსება-ნაკლულევანება». კვლავაც გავიმეორებ, რომ ფრიად და ფრიად საჭიროა ერთმანეთის გაცნობა, როგორც ჩვენგან სომხებისა, ისე მათგან ჩვენი—ქართველებისა ლიტერატურის შემწეობით. უნდა ვთარგმნოთ ერთმანეთის საუკეთესო ნაწარმოებნი; ლიტერატურული მიმოხილვები ვწეროთ; ბეჯითად გავადევნოთ თვალ-ყური ერთმანეთის მწერლობის განვითარებას და ზემოთ ნაჩვენებს „მიზანსაც“ მივაღწევთ.

ამ ხანათ მშვენიერი არჩევანი მოსვლია ბ. მთარგმნელს, როდესაც ხელი მიუყვია „ხენთის“ თარგმანისთვის. გ. სუნდუკიანცის შემდეგ სომეხთ მწერლებში ქართველი იცნობს უფრო რაფფის; მაგრამ ეს ცნობა იმდენათ სუსტია, რომ ღირსეულს და შესაფერს წარმოდგენას ვერ შეადგენს ქართველი მკითხველი იმის ნიჭის შესახებ. ამიტომ „ხენთის“ გადმოღება ქართულად თვალსაჩინო შრომაა, რა-კი ეგეთ გრძნობიერს, დაჩაგრულთა გულმემატკივარს, თავის ბედშავ ხალხის ჭირისუფალს და ნიჭიერს მწერალს გვაცნობს თავის ღირსება-ნაკლულევანებით, როგორიც არის რაფფი.

„ხენთის“ საჭირბოროტო საგანი დღესაც ცხოვრებისვარამია ოსმალეთის სომხეთში და მით უფრო ძვირფასია სომხისათვის. შესანიშნავის ბუნებრივობით აქვს აწერილი ბ. რაფფის ოსმალეთის სომხობის ხასიათი და მდგომარეობა-გაჭირვება, ერთის მხრით თურქთა მტაცებლობისაგან, მეორეს მხრით ოსმალეთის მთავრობის უსამართლობისა და უყურადღებობისაგან, მესამე მხრით კიდევ თავის მოძმე უნამუსო მოღალატე მოხელეებისაგან. აგრეთვე თავგამოდებულ მოღვაწეობა მოწინავე კაცთა. ამ მოთხრობის უმთავრესი ღირსება ის გახლავთ, რომ დაიწყებთ, ისე მიგიზიდავთ, ისე შეგიყოლიებთ, რომ უთუოდ ბოლომდის უნდა ჩახვიდეთ შეუწყვეტლივ. ეს ღირსება-კი მხოლოდ ნიჭიერ მწერალთა კუთვნილება არის. რასაკვირველია, ნაკლულევანებაც აქვს ამ თხზულებას, როგორც ტენდენციურად გამოყვანილ ზოგიერთნი მომქმედნი და თითო ოროლა სხვაც. მაგრამ საზოგადოთ ეს რომანი ჩინებული ხელოვნური ნაწარმოებია. ჩვენში—ქართულს ლიტერატურაში, რომ შედარება იყოს, მხოლოდ ა. ყაზბეგის მძლავრს მოთხრობებს თუ შევადრი; თუმცა პოეზიის მხრივ ა. ყაზბეგი გაცილებით მაღლა დგას.

დიდი მადლობელნი უნდა ვიყვნეთ ბ. ევანგულოვისა, რომ ,,ხენთი'' გადმოგვითარგმნა. ეს რომანიც ისეთი საყვარელი საკითხავი შეიქნება ქართველისთვის, როგორც არის დღეს თარგმანები ,,განთიადი.'' *) «ღლეხი კაცის ისტორია» და ზოგიერთნი სხვანი.

თვით თარგმანის ღირსება-ნაკლულევანების შესახებ შემდეგი უნდა მოგახსენოთ: ყველა თარგმანს პირველად ენას უსინჯავენ. ამ მხრივ ბ. ევანგულოვს ქების მეტი არ ეთქმის რა. კარგი ქართულის ენით არის თარგმნილი, ეტყობა ბ. მთარგმნელს, რომ ქართული ენა საკმაოდ კარგად იცის. მართალია, აქვს შიგა და შიგ თითო ოროლა არა წმინდა ქართულის მაგალითები, მაგალ. «ხშირად ხმარობს: «ცოტა არა», ცოტა არ იყოს, მაგიერ, კამჩის ბდავილი, ან კიდევ, «არა რომ თავის ლალას იმ კაცისთვის ზრდიდა»... «არა რომ» არ იხმარება მწერლობაში.

მაგრამ ამ მცირე ნაკლულევანების გარდა უნაკლულოა მისი თარგმანი ენის მხრივ. ისეთი კოხტა სხარტული ფრაზებიც-კი აქვს, რომ ორიგინალურს ნაწარმოებში თუ შეხვდებით.

მხოლოდ იმის შესახებ ვერას ვიტყვი, თუ მთარგმნელმა რამდენათ დაახლოვებით გადმოიღო დედნის აზრები, რადგან, ჩემდა სამწუხაროდ, სომხური ენა არ ვიცი, რომ შემედარებინა. ამას კი მოგახსენებთ, რომ ძალიან მკაფიოდ არის გამოთქმული ყველა წინადადება, ყოველი ფრაზა. არ შემხვედრია არც ერთი ადგილი, რომ თქვენთვის გაუგებარი იყოს კითხვის დროს, ან კიდევ არ ეთანხმებოდეს აზრთა მსვლელობას. აგრეთვე კარგი მოსაზრებაა და საჭიროც,—უცხო, უცნობი სიტყვის სხოლიოში განმარტება რომ მიჰყავს.

საზოგადოთ ეტყობა, რომ ძ. ევანგულოვს ჯაფა და შრომა არ დაუზოგნია, რაც თავდებია იმისი, რომ შემდეგს მის თარგმანებსაც იგივე ღირსებანი ექნება. ვუსურვებთ ბ. ევანგულოვს ნაყოფიერს შრომას ამ ასპარეზზედ, ვინაიდან ძალიან ღარიბია ქართული ლიტერატურა საუკეთესო ნაწარმოებთა თარგმანებით. იმედია, „დრო და გარემოება ხელს შეუწყობს“, როგორც «ხენთის» თარგმანისთვის შეუწყვია ხელი და დაპირებულს «დავით ბეგის» და სხვების თარგმანსაც წაგვაკითხებს.

ახლავე დანამდვილებით შეგვიძლიან უწინასწარმეტყველოთ, რომ თუ შრომას არ დაჰზოგავს და განაგრძობს თავის სიმპატიურ «მიზნის» სამსახურს, იგი ჩაითვლება უკეთეს ქართველ მთარგმნელთა შორის და დაიმსახურებს ჩვენს სიყვარულს და პატივის ცემას. *)

დ. ნახ—ი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 აგვისტო

პეტერბურგი. «მართველობის მოამბეში» დაბეჭდილია უმაღლესი რესკრიპტი დიდი მთავრის ვლადიმერ ალექსანდრეს ძის სახელზედ, რომლითაც მადლობა გამოეცხადა მანევრების გამო.

ვლადიკავკაზი. გუშინდამ ხუთი შეიარაღებული მთიელი დაეცა ვლადიკავკაზის საქონლის ვაგზალს, გასტეხეს კასსა და გაიტანეს 382 მანეთი, ავაზაკები ბერდანის თოფებს სროლით წავიდნენ, ჟანდარმებმაც ესროლეს.

სტამბოლი. ჯარის-კაცებმა იტალიის კონსულს მონასტირში, საკონსულო სახლის წინ «გიაური» დაუძახეს; აფიცრებმა, რომლიც იყვნენ ამ ამბის მოწმედ, ვითომ არ დაუშლეს. იტალიის საელჩომ სასტიკი პასუხი მოსთხოვა პორტასა. თუმცა აქაური დიპლომატიის წარმომადგენელნი იმის გამო რომ მაკედონიაში ასე დიდხანს გასტანა უწესოებამა, შეშფოთებულნი არიან, მაინც შეთანხმება რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთს შორის და აგრეთვე სხვა სახელმწიფოთა მშვიდობიანი მოქმედება თავდებია იმისი, რომ მაკედონიაში მოძრაობა არ გამოიწვევს ვისმე ჩარევას პოლიტიკაში. სამედო გარემოებად მიაჩნიათ გარდაწყვეტა საკითხისა უნიფიკაციის შესახებ, რაც პორტას მისცემს ფულის მხრივ საკმაო საშუალებას, რომ დიდის ხნის განმავლობაში ძლიერი სამხედრო ძალით იმოქმედოს.—რუსის გემი „ტერეცი“ როსტკოვსკის გვამით დარდანელიდგან გამოვიდა.—ის ამბავი, ვითომ მცირე აზიიდამ და სირიიდამ ევროპის ოსმალეთში 52-ი ბატალიონი გაგზავნესო, ნამდვილი არ გამოდგა.—პასუხი პორტასი რუსეთის ნოტაზე, რომელიც მინისტრთა საბჭომ შეადგინა, სულთანმა მოიწონა და ჩააბარა ზინოვიევსა.

სტამბოლი. ბულგარელმა მეამბოხეებმა დაიჭირეს ნავთსადგური მიდია, რომელიც ბოსფორიდამ 60 კილომეტრის სიშორეზე მდებარეობს.

პარიჟი. რომენმა და ემილ დორინაკმა თანხმობა განაცხადეს სასამართლოს გარდაწყვეტილებაზე მათ დასჯის შესახებ, ხოლო ტერეზას დ. ფრედრიკ ჰუმბერებს კასაციური საჩივარი გადააქვთ.

ბერლინი. იმპერატორის ბრძანებით 10 აგვისტოდამ უარყოფილ იქმნა ის განკარგულება, რომლის ძალით შეტანა იარაღისა და სამხედრო მასალისა ჩინეთში აღკრძალულიყო.

12 აგვისტო.

პსკოვი. მანევრების დროს 7 აგვისტოს სამხრეთის მხედრობამ დაუწყო ტევება, ხოლო ჩრდილოეთისამ მოგერება. მეათე საათზე ჩრდილო მხედრობის გამაგრებულ პოზიციის მარცხენა მხრივ მათნი უდიდებულესობანი გაემართნენ სოფელ ზარომვენიეს, სადაც იმ დროს თავ-მოყრილი იყო მთლად ცხენოსანი ჯარი ჩრდილოელთა. მათ უდიდებულესობათა და მათ უმაღლესობათ დაუარეს ცხენოსან ჯარის ყველა რაზმს, გაემართნენ ისევ უკანვე სოფლების მახლობლად პსკოვისა და რიგის გზატკეცილზე და იქიდგან განაგრძეს გზა რკინის გზის ლიანდაგის მიყოლიება. როცა უმაღლესად ჯარების დათვალიერება იყო, ზოგიერთა ალაგას უკვე იწყებოდა არტილერიის ომი. მათ უდიდებულესობათ დაათვალიერეს, როგორ ეტევებოდა სამხრეთის მხედრობა, და გამოემართნენ უკან ჩრდილოელთა გამაგრებულ პოზიციის შუაგულ ადგილას. ნაშუადღევის სამ საათზედ სამხედრო მხედრობა მთლად გაშლილი ეტევებოდა ჩრდილოელთ; ჩრდილოეთის მხედრობის კავალერიამ უფროსის მეთაურობით უკუ აგდო იერიში სამხრეთის მხედრობისა. ხელმწიფე იმპერატორმა 4 საათის 25 წუთზედ ბრძანა დაეკრათ საყვირი უკან დახევისა. მათნი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი გაემართნენ სალკევიჩის სოფლისაკენ სადაც მინდორში გამართული იყო უმაღლესი საუზმე 1,800 სულისათვის. საუზმის შემდეგ, როცა მათნი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი ტოროშინოს წაბრძანდნენ, ხალხი აღტაცებულ „ურას“ იძახდა.

— 10 აგვისტოს დიდი ვარჯიშობა ჯარისა პსკოვის მახლობლად გათავდა უმაღლესის აღლუმით სოფელ სკოჩიცის ახლოს; ამ დღეს აფიცრობა უბოძეს, ვინც ღირსი იყო. მთლად მხედრობას ორივე ჯარისას სარდლობდა დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე. ცერემონიალურის მარშის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა მადლობა უბძანა ჯარსა და შემდეგ უმაღლესი საუზმე გაიმართა და მიწვეულ იქმნენ მეფის ამალა სამხედრო მთავრობა და აფიცრები. 10 აგვისტოს ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე იმპერატრიცამ მიიღო დეპუტაცია გლეხთაგან, რომელთაც მიართვეს თევზი და პურ-მარილი.

პარიჟი. დეპუტატ ბერიმ (ნაციონალისტი) შეატყობინა სასჯულო საქმეთა მინისტრს, რომ შეეკითხება მთავრობას ლაბორის ნათქვამის შესახებ, ვითომც ემბერების პროცესის საბუთის ქაღალდთა რისხვში რამდენიმე პოლიტიკურ მოღვაწეთა საბუთის ქაღალდებიც იყოს, რომელნიც ბრალსა სდებენ ამ მოღვაწეთ ემბერების საქმეში მონაწილეობის მიღებისას, ბერი მოითხოვს ამის გამო საპარლამენტო კომისის დანიშვნას.

სოფია. ბლუგარის მთავრობა ყოველს ღონესა ჰხმარობს, რომ შეაკავოს ის მაკედონელი ბულგარები, რომელნიც მეტად თანაუგრძნობენ აჯანყებულთა მოძრაობას. მთავრობა ამსთანავე უარ-ჰყოფს ხმებს ჯარების საომარ ფეხზედ დაყენების შესახებ.

ზოგი ერთ გაზეთებში დაბეჭდილია ცნობა, ვითომც მაკედონიაში, ბიტოლიასა და ადრიანოპოლში, ქრისტიანები ამოჟლიტათ დი აეკლოთ. ყველანი შეშფოთებულნი არიან ოსმალეთის ჯარის მრავალ რიცხოვნობის გამო. ადრიანოპოლის სამხედრო ოლქის ნაწილში ხელახლა ებრძანა კავალერიისა და არტილერიის ოთხს დივიზიას მზად იყოს საომრად. ოსმალეთის მთავრობამ ყველა მოთხოვნილებანი შეასრულა. მოახდინეს გამოძიება და ეძებენ კონსულ როსტკოვსკის მკვლელის წამქეზებელს.

ოსმალეთის მიერ დაპატიმრებულთ იჩივლეს კონსულებთან ოსმალთა ბოროტმოქმედების შესახებ, რის გამოც ისინი განთავისუფლებულ იქმნენ.

ხილმი-ფაშას საყვედური გამოეცხადა. მოწვეულ იქმნენ ბელგიელი აფიცრები ჟანდარმერიის ახალ წესზედ მოსაწყობად.

„ივერიის“ ფოსტა.

ჩარჯუის, ალ. ან. სა—ვს. თქვენის წერილისა ვერც თავი გავიგეთ და ვერც ბოლო. არც თქვენა გცოდნიათ რამე გაზეთის საქმისა: დაბეჭდეთ ჩემი წერილი და, რაც ეღირება, ფასს გამოგიგზავნითო, თითქო წერილების ბეჭდვაში რედაქცია ფულს იღებდეს.

გოჩა-ჯიხაიშელს. თქვენი ლექსები „მთოვარე“, „სევდიანი“ და „უსათაურო‘‘ არ დაიბეჭდება.

პეტერბურგის ბირჟა 8 აგვისტო

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,65
ბერლინში 100 მარკაში . , . .	45,92½
პარიჟში 100 ფრანკში	37,27
ლონდონში ჩეკები	94,35
ბერლინში ,, ...	46,30
პარიჟში ,, ...	—
ბირჟის დისკონტი.	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა . . .	99⅝ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ. . . .	100¾ მყ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95½ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	439 გაყ.
5% მეორე შინაგ სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . .	337 წვ. გაყიდ.
5% გირავნ. მომგ ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . .	288½ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	94¾
4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
4% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	92½ გაყ.
4½% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	-
6% ქუთ. სააღ. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. ქციები. „ ,, ,, »	—
,,კასპიის ამხანაგობისა.	
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	380 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	186½ წვ. გაყ.

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 2 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

საეკკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ვისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება. შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

ნიხრი ეტლებით მიმოსვლისა

ქ. ტფილისში.

საათობით	60 კ.
ერთგზობით	30 „
ქალაქიდგან ავლაბარში . . .	40 „
ნავთლუღში	50 „
ავლაბრიდგან ნავთლუღს. . .	30 „
ნათლულიდგან ქალაქს . . .	40 „
ქალაქიდან და ავლაბრიდგან რკინის გზის სადგურამდე . . .	50 „
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	80 „
ქალაქიდგან და ავლაბრიდგან მუშთეიდის ბაღში და დიდუბეს .	40
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	1 მ.
ქალაქიდგან ორთაჭალას, საპყრობილემდე	80 კ.
კრწანისის ბაღამდე	80 „
ნათლულიდან რკინის გზის სადგურსა და მუშთეიდის ბაღამდე .	80 „
რკინის გზის სადგურიდან ქალაქსა და ავლაბარს	60 „
იქიდამ ნათლულამდე	1—20

უკეთუ რკინის გზის მატარებელმა დაიგვიანა, ყოველ ნახევარ საათში 30 კაპ. ემატება.

მართლმადიდებელთა სასაფლაომდე 50 კ.

ეს ნიხრი სავალდებულოა ღამის 1-ელ საათამდე; შემდეგ-კი 1 ოკდომბრიდგან 1 აპრილამდე ერთგზობით უნდა მიეცეს 50 კ. ხოლო 1 აპრილიდგან 1 ოკდომბრამდე 30 კ.

განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ მის მაღალ-აღმატებულების ბ-ნ ფინანსთა მინისტრის ნება-რთვით, გაბათილებულად არიან ცნობილნი ქალაქ ტფილისის მესამე სესხის ობლიგაციები, რომელიც მოპარულ იქმნა ქალაქის გამგეობის კასიდგან 23 სეკდემბერს 1901 წლისა, 1,000 მანეთიანები, საერთო ღირებულობით, როგორც ობლიგაციებს ზედ აწერია, 592,000 მანეთისა; ობლიგაციის №№: 151—159, 161—346, 348—457, 459—581 და 583—750, სულ 592 ფურცელი.

ამ გაბათილებულ ობლიგაციებზედ გამგეობის ბუღალტერს ხელი არ უწერია და არც დანიშნული აქვს რიგი საბუღალტერო ნომრებისა, ხოლო აღბეჭდილი აქვს: ტფილისის ქალაქის მოურავი გ. ევანგულოვი, გამგეობის წევრნი: თავ. ა. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, თავ. ვ. ჩერქეზიშვილი, ე. ხოსროევი; კუპონებსა და ტალონებზედ აღბეჭდილია—ტფილისის ქალაქის მოურავი გ. ევანგულოვი.

ამ გაბათილებულთა გარდა გამოიცა ახალი ობლიგაციები ქალაქ ტფილისის მესამისავე სესხისა კუთვნილის კუპონებითა და ტალონებით და ამ ობლიგაციებზე აღბეჭდილია ხელნაწერის მინაგვარად: И. д. Тифлисскаго Городского Головы М. Шестаковъ. Члены управы кн. В. Черкезовъ, Т. Энфіанджіанцъ, Е. Хосроевъ, ხოლო კუპონებსა და ტალონებს იმნაირადვე აღბეჭდილი აქვს—И. д. Тифлисскаго Городского Головы М. Шестаковъ.

ობლიგაციების ნიმუშები აბარია სახელმწიფო ბანკსა და მის ყველა განყოფილებათა მთელ იმპერიაში.

(3—6—3)

---

*) «ხენთი» პირველად იბეჭდებოდა ,,მოამბეში‘‘.

*) კარგს ინებებდა ბ. თ. სახოკია, რომ ეს მოთხრობა ხელ-ახლად გამოეცა, თორემ აღარ იშოვება. ავტ.

*) არ შემიძლიან, საყვედური არ ვუთხრა ჩვენს ჟურნალ-გაზეთობას, რომ ძალიან მცირე ყურადღებას აქცევენ ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას. არც შესაფერი გარჩევა, არც უბრალო ყურადღება ახლად გამოსულ წიგნისადმი!? ხანდახან თუ მოიხსენიებენ ახალ ამბავში, რომ ეს და ეს წიგნი მივიღეთო და ამდენი შაური ღირსო,—უკატრავად, რამდენი გვერდია, იმასაც დასწერენ ხოლმე. მხოლოდ რა ღირსებისაა, რა საგანს შეეხება, ან ღირს, თუ არა მისი წაკითხვა, ამის შესახებ ჩვენი ჟურნალ-გაზეთების აზრს ვერ შეიტყობთ, მგონი თვით რედაქციაშიაც რომ იკითხოთ, ვისაიდგან... თქვენც იცით, ფრიად საჭირო კია ეგ განყოფილება მრავალ შემთხვევაში. კაი წიგნის ავტორს ამხნევებს და ცუდისას წერის მადას უკარგავს. ხშირადბიბლიოგრაფიის ბრალია, რომ ესა, თუ ის თხზულება მკითხველის მეტს ყურადღებას იქცევს და საყვარელ წიგნადაც ხდება. სწორეთ რომ არ ეპატიებათ ეს დანაშაული ჩვენს რედაქციებს.

დ. ნ.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 12 августа 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи დროებით-რედაქტორი ვ. ქიფშიძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი,